ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-69

"12" ივნისი 2018 წ

ქ. თბილისი

**„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-21 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge 16.01.2018, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016451) და დადგენილების პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 9 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა“, ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

**განმარტებითი ბარათი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვარის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა გეგმავს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებას, აღნიშნული პროექტების ეფექტურად და ჯეროვნად განხორციელების მიზნით საჭიროა გამგეობის ფარგლებში მოქმედი გამგეობის კონტრაქტორების და მოსახლეობისთვის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგის გამლიერება. შესაბამისად, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვარის №10-21 დადგენილების პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დამტკიცებული მე-9 დანართში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა“ განხორციელდეს ცვლილება,.კერძოდ:

1. შესასწორებელია ტექნიკური შეცდომა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებაში, უნდა ეწეროს მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი ნაცვლად 1200 ლარისა.
2. საორგანიზაციო განყოფილებაში უქმდება 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი და ემატება სოციალური პროექტების განყოფილებაში 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი.
3. ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილებაში უქმდება 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და 1 ერთეული პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატები და ემატება ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილებაში 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და 1 ერთეული პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატები.
4. საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებაში ერთი ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი იცვლება მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატში.

**ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას;

**გ) პროექტის ავტორი (ავტორები):**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

**დ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი

"დანართი 9"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა

| თანამდებობა | რანგი | კატეგორია | რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი) | პირველი | | 1 | 5000 |
| პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (გამგებლის მოადგილე) | მეორე | | 3 | 3600 |
| | | | 4 | |
| საორგანიზაციო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 3 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 1 | 1200 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | მესამე | 1 | 1000 |
| | | | 6 | |
| იურიდიული განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 2 | 1300 |
| | | | 3 | |
| სამხედრო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 2 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 5 | |
| ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 2 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | მესამე | 1 | 1000 |
| | | | 6 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საზიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 4 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 1 | 1200 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | მესამე | 1 | 1000 |
| | | | 7 | |
| ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 3 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 6 | |
| კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | მესამე | 2 | 1000 |
| | | | 3 | |
| სოციალური პროექტების განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 4 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 7 | |
| თანადაფინანსებული პროექტების განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა | მეორე | | 1 | 2000 |
| უფროსი სპეციალისტი | მესამე | მეორე | 2 | 1300 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 3 | 1200 |
| | | | 6 | |
| ვარკეთილის საუბნო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 1800 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 3 | |
| მესამე მასივის საუბნო განყოფილება | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 1800 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 3 | |
| ორხევი, აეროპორტის საუბნო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 1800 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 3 | |
| ლილოს საუბნო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 1800 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 3 | |
| ქვემო სამგორის საუბნო განყოფილება | | | | |
| მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) | მეორე | | 1 | 1800 |
| უმცროსი სპეციალისტი | მეოთხე | პირველი | 2 | 1200 |
| | | | 3 | |
| *სულ* | | | 68 | |